ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N8

31 მაისი, 2018 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

17:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, ა. ლაშხი, მ. დარჩია, ე. კუხიანიძე, გ. გოცირიძე, ქ. ჯოხაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. თინათინ ნიბლოშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. გიორგი ჩაკვეტაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. ლევან ჯაფარიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. ირაკლი ზარქუა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. ნინო ლაცაბიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

მოწვეული სტუმრები:

1. ირაკლი გვილავა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ზვიად მჭედლიშვილი -ა(ა)იპ. ,,შემოქმედებითი საქართველოს'' გენერალური დირექტორი;
3. ელენე ბოდაველი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
4. თამარ თოფურიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
5. გოგი ჩიქოვანი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ;

6. ჯაბა სიხარულიძე - ა(ა)იპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტოს პიარ მენეჯერი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2018 წლის პირველ კვარტალში გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიშის განხილვა;

   მომხსენებელი: ბატონი ირაკლი გვილავა
   თანამდებობა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. მან წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა.

სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, აღნიშნული სხდომა მნიშვნელოვანია, ვინაიდან განიხილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის 2018 წელს გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიში, რომელსაც ბატონი ირაკლი გვილავა, ამავე სამსახურის უფროსი, წარმოადგენს. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განათლების და კულტურის მიმართულება ერთ-ერთი დინამიური და ცვალებადი მიმართულებაა. რაც შეეხება დინამიკას, როგორც მუნიციპალური ობიექტების მოდერნიზების, ასევე თბილისის კულტურის სტრატეგიის შემუშავების კუთხით, მიმდინარე წელს მათზე თბილისის ბიუჯეტში თანხებია გამოყოფილი.

ქალბატონი თამარ ტალიაშვილის თქმით, სხდომას აგრეთვე ესწრება ბატონი ზვიად მჭედლიშვილი - კრეატიული საქართველოს გენერალური დირექტორი, რომელიც ძალიან აქტიურად იყო ჩართული საქართველოს **კულტურის სტრატეგია 2025**-ის შემუშავებაში.

სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ ბატონი ირაკლი გვილავას მიერ ანგარიშის მოსმენის შემდეგ კომისია კითხვა-პასუხის რეჟიმში განაგრძობდა მუშაობას, რის შემდეგაც სიტყვა გადასცა ბატონ ირაკლი გვილავას.

მოისმინეს:

1. ბატონი ირაკლი გვილავა მიესალმა სხდომის მონაწილეებს და აღნიშნა, რომ ანგარიშის წარდგენისას იგი შეეხებოდა ძირითად საკითხებს, თუ რა ვითარებაა თბილისში კულტურისა და განათლების მიმართულებით. მისი განმარტებით, როგორც ცნობილია, თბილისის მერია, თბილისის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, აფინანსებს სოციალურად დაუცველ სტუდენტებს, რომლის ფარგლებში 2018 წელს თბილისის მერიამ დაახლოებით 900-მდე სტუდენტი დააფინანსა.

მისი თქმით, შემუშავდა სპეციალური პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობას და წელს დაახლოებით 1400 მოქალაქე დარეგისტრირდა ხსენებულ პროექტში. ამჟამად დაწყებულია სასწავლო პროცესი და უახლოეს დროში საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას მიეწოდება სასწავლო პროცესის შედეგების შესახებ ინფორმაცია.

ბატონი ირაკლი გვილავას თქმით, მერიის კულტურის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური გეგმავ უახლოეს დღეებში ადგილზე მივიდეს ხსენებულ სასწავლებელში და შეამოწმოს სასწავლო პროცესი, მანვე აღნიშნა, რომ ალბათ სასურველია და აუცილებელია, რომ საკრებულოსა და მერიის წარმოამადგენლები ერთად მივიდნენ და გაეცნონ სასწავლო პროცესს. რაც შეეხება სასწავლო მიმართულებებს, მათგან ძირითადია: მშენებლობა და ტურიზმი. ბატონი ირაკლის ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში გადამზადდება დაახლოებით 700-მდე ადამიანი და მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური ვარაუდობს, რომ შემდგომში ამ პროფილით დასაქმებული ადამიანების მაჩვენებელი 90 %-ს მიაღწევს.

მისივე განმარტებით, უკვე გამოკვეთილი სტატისტიკის მიხედვით, პროექტში მონაწილეთა დაახლოებით 50% არის 18-დან 30 წლამდე ადამიანები, 50% კი - 30 წელს გადაცილებული პირები.

ბატონმა ირაკლი გვილავამ ისაუბრა აგრეთვე, საგანმანათლებლო ფესტივალებთან დაკავშირებით. მისი ცნობით, საგანმანათლებლო ორგანიზაციებს მაქსიმალურად ეწყობა ხელი, რათა თბილისმა მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ფესტივალში. წელს გამოცხადდა განსხვავებული ტიპის კონკურსი ბანაკების მიმართულებით, რომლის ფარგლებში მოეწყობა რამდენიმე პროფილის

ბანაკი, კერძოდ: მეცნიერება, ინჟინერია, ტექნოლოგია, ხელოვნება, მეწარმეობა, მოხალიესობა. პროექტის შემსრულებლები იქნებიან შესაბამისი გამოცდილების მქონე ორგანიზაციები, რომლებიც ეკონომიურ და შედეგზე ორიენტირებულ პროექტებს წარუდგენენ თბილისის მერიას. ბუნებრივია, განრიგი, ხანგრძლივობა და ლოკაციები შეთანხმდება თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურთან. პროექტი დაიწყება ივლისიდან და გაგრძელდება მთელი ზაფხული.

ბატონი ირაკლის ინფორმაციით, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში მიმდინარეობს სამუშაოები, როგორც პროგრამების განვითარების, ასევე ინფრასტრუქტურის მიმართულებით. სატენდერო დოკუმენტაციასთან მუშაობის გამო, იყო გარკვეული შეფერხებები, თუმცა აღმოიფხვრა და შესაბამისად, წლის ბოლოს უკვე შეჯამდება გაწეული სამუშაოები.

საკრებულოს წევრმა ბატონმა ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ შესაძლებელია გარკვეული თანამშრომლობა ტურიზმის ადმინისტრაციასთან, რადგან ყველგან იხსნება საზაფხულო რესტორნები, ღია კაფეები და სხვ. ამიტომ უნდა შეიქმნას განწყობა, რომ აღნიშნულ დაწესებულებებში მუშაობა მიმზიდველია ახალგაზრდებისთვის. ამიტომ, მისი თქმით, საჭიროა გადამზადების პროგრამების გააქტიურება და ბიზნესთან მეტი კომუნიკაცია. შესაძლებელია თბილისის მერიამ და საკრებულომ ამისათვის გამოიყენოს ბიზნეს-ომბუდსმენის აპარატთან კავშირი, რათა მოსახლეობაში არსებული მოთხოვნა დაკმაყოფილდეს კომპეტენტური კადრების მეშვეობით შექმნილი მომსახურების მიწოდებით. მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ გადამზადება მხოლოდ გადამზადებისთვის არ იყოს და ის ვინც აიღებს გადამზადების სერტიფიკატს, უნდა იყოს კომპეტენტური და შესაბამისად დასაქმდეს. მანვე აღნიშნა, რომ იგი მზადაა დახმარება გაუწიოს ბატონ ირაკლი გვილავას ხსენებულ საკითხზე მუშაობისას.

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბატონ ირაკლი ზარქუას აღნიშნული თემის წამოწევისთვის და განმარტა, რომ მიმდინარე პერიოდში საქართველოში ტურისტული ინფრასტრუქტურა შენდება, მაგრამ მომსახურების ხარისხი პრობლემურ საკითხად რჩება, ვინაიდან ხარვეზულია კადრების ელემენტარული უნარები.

ბატონმა ირაკლი გვილავამ თავისი ანგარიში განაგრძო მერიის იურიდიული კლინიკის ,,ჩემი ადვოკატი'' შესახებ და აღნიშნა, რომ ის აქტიურად მუშაობს მოქალაქეთა პრობლემების გადასაწყვეტად. მისი თქმით, არსებობს შესაბამისი სტატისტიკა, რომელიც საკმაოდ დიდია მოცულობით და მოგვიანებით წარედგინება განათლებისა და კულტურის კომისიას.

კულტურის მიმართულების შესახებ საუბარი ბატონმა ირაკლი გვილავამ განაგრძო ახალი პლატფორმით ,,თბილისის ცის ქვეშ". მისი განმარტებით, აღნიშნული

პლატფორმა გულისხმობს ზოგადად, კულტურის სფეროს ხელშეწყობას, ახალგაზრდა ნიჭიერი ადამიანების აღმოჩენას, მოქალაქეთა ჩართულობას ამ პროცესში, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია და საზოგადოებასთან სწორი კომუნიკაციის საშუალებით მიიღწევა. მისი თქმით, თბილისის მერიის მიზანია, მოსახლეობას მაქსიმალურად სწორად და სწრაფად მიაწოდოს ინფორმაცია დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური ამჟამად ფიქრობს, დაამუშაოს მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდების სპეციალური ფორმა და ეცდება მალევე წარუდგინოს ის თბილისის საკრებულოს. ბატონი ირაკლის თქმით, მოსახლეობის სათანადო ინფორმირების მიზნით ხორციელდება აქტივობები სხვადასხვა მუნიციპალური დაწესებულებების ჩართულობით. კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური ცდილობს მაქსიმალურად აითვისოს სკვერები, მეტრო-სადგურების მიმდებარე სივრცეები და სხვადასხვა ადგილები, რათა ინფორმაცია მეტად ხელმისაწვდომი იყოს დედაქალაქის მაცხოვრებლებისთვის.

ბატონმა ირაკლი გვილავამ აგრეთვე, ისაუბრა მიმდინარე პროექტებზე და მათგან გამოყო, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილე, რომლის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების დიდი ნაწილი დედაქალაქის ხელისუფლების ჩართულობით ჩატარდა. მეორე ერთ-ერთი მასშტაბური ღონისძიება იყო დედა ენის დღესთან დაკავშირებით.

ბატონმა ირაკლი გვილავამ ისაუბრა ახმეტელის თეატრში მიმდინარე შენობის ადაპტირების სამუშაოების თაობაზე, რაც დედაქალაქში შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნის ერთიანი ღონისძიებების ნაწილია. მისი თქმით, სხვადასხვა ორგანიზაციებს მიეცემათ შესაძლებლობა, აითვისონ შშმ პირებისათვის ადაპტირებული სივრცეები და დაგეგმონ სხვადასხვა ღონისძიებები.

მან ასევე, ყურადღება გაამახვილა პანთეონების საკითხზეც და განმარტა, რომ მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურთან ერთად, დაგეგმილია ახალი პანთეონის კეთილმოწყობის სამუშაოები. ამ ეტაპზე გამოკვეთილია რამდენიმე ტექნიკური პრობლემა, რომლებიც მოწესრიგების ეტაპზეა და ახლო მომავალში აღმოიფხვრება, რაშიც გამგეობისა და მერიის კეთილმოწყობის სამსახურის დახმარება მნიშვნელოვანი იქნება.

ბატონი ირაკლი გვილავას თქმით, ბიბლიოთეკების რეფორმა მიმდინარე წლის მეორე კვარტალში დაიწყო. ამჟამად მიმდინარეობს კონკურსი ბიბლიოთეკების ხელმძღვანელის შესარჩევად, ასევე ტესტირება ბიბლიოთეკარებისთვის. მათ მაქსიმალურად გაეწიათ დახმარება, რომ კიდევ უფრო გაიღრმავონ საკუთარი კომპეტენცია.

„პანტომიმის" თეატრთან დაკავშირებით, ბატონმა ირაკლი გვილავამ აღნიშნა, რომ საქალაქო სამსახური მუშაობს რამდენიმე ვერსიაზე, თუ სად შეიძლება თეატრის

გადატანა. ვერსიები ჯერ დამუშავების პროცესშია და საქალაქო სამსახური ეცდება, უახლოეს პერიოდში წარუდგინოს განათლებისა და კულტურის კომისიას. კომუნიკაცია არსებობს თეატრის ხელმძღვანელობასთან და ისინი თანახმანი არიან ამ პროცესში ჩართვაზე.

ბატონი ირაკლის განმარტებით, თბილისის სახელოვნებო სკოლებში მუნიციპალიტეტი აგრძელებს ნიჭიერი მოსწავლეების დაფინანსებას. ამას გარდა, ,,ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაშიც" მიმდინარეობს სხვადასხვა სამუშაოები. საქალაქო სამსახური მუშაობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან თოჯინების მუზეუმის საკითხთან დაკავშირებით, რაც არა მხოლოდ დედაქალაქისთვის, არამედ ქვეყნისთვის არის მნიშვნელოვანი. კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს დაწყებული აქვს მუშაობა ამაზე და ელოდება საბოლოო გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც ახალი ფართი გამოეყოფა თოჯინების მუზეუმს. უკვე არსებობს რამდენიმე ვერსია და უახლოეს პერიოდში კომისიას წარედგინება მუნიციპალური ფონდის გადაწყვეტილება, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება თოჯინების მუზეუმისთვის.

ბატონი ირაკლი გვილავას ინფორმაციით, თბილისის სახელოვნებო სკოლებში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის დასამონტაჟებლად მიმდინარეობს ტენდერი და სამუშაოები, მიმდინარე წელს დასრულდება და შედეგად ყველა სახელოვნებო ობიექტი აღჭურვილი იქნება სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა მადლობა გადაუხადა ბატონ ირაკლი გვილავას წარმოდგენილი ანგარიშისთვის და თქვა, რომ რამდენიმე წლის წინ თბილისის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება დიდუბის პანთეონის დახურვასთან დაკავშირებით, რაზეც საზოგადოებაში გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა გიორგი ჩაკვეტაძემ განმარტა, რომ უნდა არსებობდეს შესაბამისი წესი პანთეონში დაკრძალვასთან დაკავშირებით.

ქალბატონმა მარიკა დარჩიამ დააფიქსირა იდეა მემორიალური პარკის მოწყობის თაობაზე. მისი თქმით, მსგავსი პარკები არსებობს მსოფლიოს დიდ ქალაქებში და ასევე, შესაძლებელია, ხსოვნის სკამების დადგმა. ქალბატონი მარიკა დარჩიას თქმით, მას დიდი სურვილი, რომ აღსრულდეს ინიციატივა აქვს ისევ და სურს ქ. თბილისის ბეობასთან მოლაპარაკება.

ბატონმა ირაკლი გვილავამ აღნიშნა, რომ ძალიან საინტერესოა ქალბატონი მარიკა დარჩიას მიერ ხსენებული პროექტი და შესაძლებელია მისი განხილვა.

ქალბატონი მარიკა დარჩია დაინტერესდა თბილისის ბიბლიოთეკებთან დაკავშირებული საკითხების მიმდინარეობით, ვინაიდან აღნიშნული საკითხი ძალიან

ხმაურიანად დაიწყო. დეპუტატი, ასევე, დაინტერესდა თუ რა ფორმით აწვდის მერია მოსახლეობას ინფორმაციას მიმდინარე ღონისძიებების შესახებ.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ თბილისის მერიის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებს ეგზავნებათ შესაბამისი ინფორმაცია, თუმცა მეტი ინფორმირებულობისა და მათში საზოგადოების მეტი ჩართულობისთვის, მიზანშეწონილი იქნება საინფორმაციო რგოლების დამზადება და თუნდაც, სოციალური ქსელების საშუალებით გავრცელება.

ქალბატონი მარიკა დარჩიას თქმით, მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე უნდა იყოს განთავსებული ფანჯარა, სადაც გამოქვეყნდება დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე დეტალური ინფორმაცია, რაზეც მერიის წარმომადგენლებმა მას მიაწოდეს ინფორმაცია, რომ მსგავსი სახის ფანჯარა უკვე არსებობს დედაქალაქის ოფიციალურ საიტზე.

დეპუტატმა მარიკა დარჩიამ ასევე, აღნიშნა, რომ საჭიროა თბილისის ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილებზე განთავსდეს აფიშები დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ დედაქალაქში დამონტაჟებულია მრგვალი ფორმის საინფორმაციო სტენდები, თუმცა მონიტორინგის განხორციელების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათ ხშირად აზიანებენ.

ქალბატონმა მარიკა ასევე დაინტერესდა იგეგმება თუ არა რეორგანიზაციის პროცესის დაწყება სახელოვნებო სკოლებში. რაზეც ბატონმა ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ მერია ცდილობს მოაგვაროს ძირითადი ინფრასტრუქტურული პრობლემები სახელოვნებო სკოლებში, ხოლო რეორგანიზების პროცესი ამჯერად ბიბლიოთეკებში მიმდინარეობს.

ბიბლიოთეკებში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, ბატონმა ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური შეეცადა მაქსიმალურად სწორი კომუნიკაცია მომხდარიყო ბიბლიოთეკარებთან, რაც გულისხმობს მათ შესაბამისი მასალებით უზრუნველყოფას, ტრეინინგების ჩატარებას, გადამზადებას. მისი თქმით, უახლოეს დღეებში ტარდება ტესტირება საბიბლიოთეკო საქმიანობის შესახებ კანონმდებლობის სფეროში. ბარიერის გადალახვისთვის საჭიროა მინიმუმ 30 კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა 60-დან. ბიბლიოთეკების დირექტორთა კონკურსის შესახებ, ბატონმა ირაკლი გვილავამ აღნიშნა, რომ აქ გაითვალისწინება კანდიდატების განათლება, მათი გამოცდილება, საბიბლიოთეკო საქმიანობასთან დაკავშირებული ხედვა. ახალი დირექტორების შერჩევის შემდეგ კი ბიბლიოთეკების განვითარების სრული სტრატეგია იქნება წარმოდგენილი და მასზე აქტიურად იმუშავებს დედაქალაქის მერია და საკრებულო.

ბატონი ირაკლი გვილავა ყურადღება გაამახვილა ასევე, განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ დაყენებულ საკითხზე, რომელიც დაგეგმილ კულტურულ ღონისძიებებზე მოქალაქეთა ინფორმირებას ეხება. მისი თქმით, მოქალაქეთა ინფორმირებისთვის საჭიროა აქტიური მუშაობა, განსაკუთრებით თანამედროვეობაში, როდესაც დიდი დატვირთვა აქვს სოციალურ ქსელებს და ამ გზით ინფორმაციის გავრცელებას. მან მიმართა სხდომის მონაწილეებს და შესთავაზა, ერთად შეარჩიონ მოქალაქეებთან კომუნიკაციის უფრო ეფექტიანი გზები. მისი თქმით, გამოყენებული იქნება აფიშები, თუმცა სოციალური ქსელი ინფორმირების თვალსაზრისით, ყველაზე ეფექტიანია.

ქალბატონმა მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ დაგეგმილ ღონისძიებებზე არ აქვთ საკმარისი და სათანადო ინფორმაცია ტურისტებს. მისი თქმით, არ არის საკმარისი ტურისტული სააგენტოებისთვის გარკვეულ ინფორმაციის მიწოდება და მიზანშეწონილია ინფორმაციის თარგმნა უცხოურ ენებზეც.

ბატონმა ირაკლი გვილავამ აღნიშნა, რომ მერია ამჟამად მუშაობს ევროპის ქვეყნების დედაქალაქების გაერთიანებაში თბილისის გაწევრიანებაზე. რის შემდეგაც, თბილისში ჩამოსული ტურისტი უფრო ადვილად შეძლებს ინფორმაციის მიღებას ახალგაზრდებისთვის ყველაზე საინტერესო ადგილების შესახებ. აღნიშნული გაწევრიანება ერთჯერად გადასახადთან არის დაკავშირებული, მაგრამ ქალაქის პოტენციალისთვის შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი იყოს. ამიტომ, მერია გეგმავს ამ მიმართულებით შესაბამის ორგანიზაციებთან იმუშაოს.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა გულია გოცირიძემ აღნიშნა, რომ იგი დადებითად აფასებს მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის საქმიანობას, თუმცა მისი თქმით, ჭადრაკთან დაკავშირებით მეტი აქტივობაა მიზანშეწონილი და დაინტერესდა ამ მიმართულების ხელშეწყობისთვის მერიის მიერ გატარებული და დაგეგმილი ღონისძიებებით.

პასუხად, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ განმარტა, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე თბილისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაშია და იგი ამჟამად ატარებს ჭადრაკის ტურნირს.

ბატონმა ირაკლი გვილავამ აღნიშნა, რომ მთავრობის რეკომენდაციით მუნიციპალიტეტს ჰქონდა ჭადრაკის განვითარების 3 წლიანი გეგმა. გეგმის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ჭადრაკის განვითარებას დაეხმარა დაახლოებით 4.5 მლნ. ლარით სამ წელიწადში. ამას გარდა, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროსგან ჭადრაკმა მიიღო 32 მლნ. ლარი. ამ თანხების მეშვეობით, საქართველოში რამდენიმე საერთაშორისო ჩემპიონატი ჩატარდა. ბოლო აქტივობა იგეგმება შემოდგომაზე, ქალაქ ბათუმში, სადაც ჩატარდება

მსოფლიო ჩემპიონატი. ასევე, გაზაფხულზე იყო თბილისში ჭადრაკის ქალთა ტურნირი, სადაც მონაწილეობდა ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილიც, როგორც საპატიო მონაწილე.

ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში, მერია ჭადრაკს აქტიურად ეხმარება. მისი თქმით, თბილისის მერიას აქვს კალენდარული გეგმა და ჭადრაკის ფედერაციის მომართვის შემთხვევაში, შესაძლებელია მოჭადრაკეების დაფინანსება სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ საინტერესოა მულტიფუნქციური ცენტრების საკითხიც. ორი ამგვარი ცენტრის პროექტი უკვე არსებობს. მისი თქმით, მსგავსი ცენტრები ახალგაზრდებსა და უფროს თაობებს სთავაზობს სხვადასხვა სერვისებს სპორტის, კულტურისა და განათლების სფეროებში. იგი ორიენტირებულია ხსენებული კატეგორიის წარმომადგენელთა დროის სასარგებლოდ გამოყენებაზე.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა გიორგი ჩაკვეტაძემ მადლობა გადაუხადა ბატონ ირაკლი გვილავას ამომწურავი ანგარიშის წარდგენისათვის. მან აღნიშნა, რომ რამდენადაც მისთვის ცნობილია, იგეგმებოდა თემატური ბანაკების გამართვა და იკითხა, თუ რა ეტაპზეა აღნიშნული საკითხი. რასთან დაკავშირებითაც, ბატონმა ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ იგეგმება თემატური ბანაკების გაკეთება ოთხი მიმართულებით. შემსრულებელ ორგანიზაციებს შორის ჩატარდება კონკურსი და შეირჩევიან საუკეთესოები. რაც შეეხება საზაფხულო ბანაკებსა და სალაშქრო ტურებს, თბილისთან ახლოს 8 ლოკაციაა შერჩეული. მისი თქმით, აღნიშნული ტურები ზაფხულში დაიწყება და მათზე წინასწარ გავრცელდება ინფორმაცია. საბანაკე ინვენტარსა და გიდს უზრუნველყოფს თბილისის მერია. პროგრამაში დარეგისტრირებული ადამიანები შაბათ-კვირას მიიღებენ შესაბამის სერვისს, ამასთან მნიშვნელოვანი იქნება მოხალისეების ჩართულობაც.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა ბატონ ირაკლი გვილავას სთხოვა, რომ საქალაქო სამსახურმა მაქსიმალურად გამოიყენოს თბილისის საკრებულოს მაჟორიტარების რესურსები და აქტიური კავშირში იყოს მათთან.

აზრი გამოთქვა საკრებულოს წევრმა და მაჟორიტარმა, ქალბატონმა ნინო ლაცაბიძემ. მისი თქმით, ისნის რაიონში არ არსებობს სივრცე, სადაც შეიკრიბებიან სკოლის მოსწავლეები და უნივერსიტეტის სტუდენტები და ერთად გაატარებენ თავისუფალ დროს. მან სთხოვა ბატონ ირაკლი გვილავას, რომ რეკომენდაციის სახით გაითვალისწინონ სკვერების მოწყობისას შესაბამისი ინვენტარით მათი აღჭურვა, მაგალითად, უსადენო ინტერნეტზე წვდომა, ე.წ. ,,სკეიდბორდის'' სავალი ნაწილების განთავსება და სხვ. იგი დაინტერესდა თუ აქვს მერიის შესაბამის სამსახურს შემუშავებული მსგავსი კონცეფცია. ქალბატონი ნინოს განმარტებით, თბილისის რაიონებში, ძირითადად, კეთდება საფეხბურთო მოედნები, რაც სპორტის მხოლოდ ერთი სახეობის განვითარებას ემსახურება. ამიტომ, უმჯობესია საკალათბურთო მოედნების გაკეთებაც, რათა მოსახლეობას სხვა სპორტულ აქტივობაშიც შეეძლოს ჩართულობა.

ქალბატონი ნინო ლაცაბიძის ინფორმაციით, ისნის რაიონში შეიკრიბა ახალგაზრდა ინიციატორების ჯგუფი და გაკეთდა პროექტი ,,ხელისუფლება შენს უბანში,'' რომლის ფარგლებში ახალგაზრდებთან სხვადასხვა თემებზე სასაუბროდ მიდიან საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები და მასში ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართულები.

ქალბატონმა ნინომ ასევე აღნიშნა, რომ უკეთესი იქნება თუ თბილისის სპორტული მოედნები, ბიბლიოთეკები და სხვა ობიექტები აღინიშნება გეოგრაფიულ რუკაზე, რათა ცნობილი იყოს რომელი რაიონია უფრო დატვირთული სპორტული თუ სხვაგვარი ინფრასტრუქტურით და რომელი არა. ამ შემთხვევაში თბილისის საკრებულოს მაჟორიტარებს უფრო გაუადვილდებათ მუშაობა და ეს მეტად საინტერესო იქნება ახალგაზრდებისთვისაც. მისივე თქმით, ნავღთლუღში ახალგაზრდები ამბობენ, რომ სოციალურად დაუცველებისთვის რთულია მედიათეკაში ნავთლუღიდან ვარკეთილში წასვლა და სურთ, რომ ნავთლუღშიც იყოს მედიათეკა.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ გარეუბნების განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია. მისი თქმით, მუზეუმების 90% კონცენტრირებულია ჩუღურეთის რაიონში, ისევე როგორც, სპორტული ინფრასტრუქტურის უმეტესობა - თბილისის ცენტრში. ამიტომ, წინასაარჩევნოდ გაკეთებული განაცხადის ,,თბილისის ცენტრი თბილისის ყველა უბანში'' შესასრულებლად, საჭიროა მაქსიმალურად განვითარდეს გარეუბნებიც.

ქალბატონმა ნინო ლაცაბიძემ აღნიშნა, რომ ასევე პრობლემურია თბილისის რაიონებში გამართული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ამიტომ მან შესთავაზა სხდომაზე დამსწრეთ, რომ უმჯობესია ტერიტორიების სამაჟორიტარო ოლქების მიხედვით დაყოფა და არა მხოლოდ გამგეობების მიხედვით, რადგან ზოგი რაიონი დიდ ტერიტორიას მოიცავს და მის ცალკეულ ლოკაციაზე გამართული ღონისძიებით ვერ სარგებლობენ ამავე რაიონის მოსახლეობის უმრავლესობა. აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარე.

ბატონმა ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ რუკაზე უკვე დაწყებულია მუშაობა და მასზე განთავსდება მუნიციპალურ დაქვემდებარებაში არსებული თუ კერძო ობიექტების შესახებ ინფორმაცია. რაც შეეხება საბიბლიოთეკო პროექტებსა და კონცეფციებს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბიბლიოთეკების ხელმძღვანელების შერჩევა. მათი დანიშვნის შემდეგ უკვე დაიწყება მრავალფუნქციური ბიბლიოთეკების კონცეფციის შემუშავება, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ხედვებსა და ინფრასტრუქტურულ პროექტებს. მისი თქმით, მრავალფუნქციურ ცენტრებზე დასრულებულია ტექნიკური დავალების დაწერა და შემდეგი ეტაპი საპროექტო სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერის გამოცხადებაა. ერთ სივრცეში განთავსდება საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ობიექტები. აქ გათვალისწინებული იქნება სივრცე ბიბლიოთეკებისათვის, სხვადასხვა შეხვედრებისთვის, მასტერკლასების, კონფერენციებისთვის და სხვ. მულტიფუნქციური

ცენტრი არ იქნება მოგებაზე ორიენტირებული და შესაბამისად, მომსახურებების ფასები მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იქნება.

ფეხბურთის მოედნებთან დაკავშირებულ კითხვაზე ბატონმა ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ მცირე სათამაშო მოედნებს არ აკეთებს თბილისის მერია, მათ უშუალოდ გამგეობები აკეთებენ.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე დამსწრეთ და შესთავაზა, რომ ღონისძიებების ჩატარებისას თბილისის 25-ვე სამაჟორიტარო ოლქიდან ღონისძიებას დაესწროს გარკვეული რაოდენობის ახალგაზრდები, მაგალითად, გლდანში ჩატარებულ აქტივობას დაესწროს თემქის მაცხოვრებლები. შეთავაზება გაიზიარა ბატონმა ირაკლი გვილავამ და ასევე განმარტა, რომ მერიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია თბილისის საკრებულოს მაჟორიტარებთან მჭიდრო კომუნიკაცია.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ სხდომაზე დამსწრეთ შესთავაზა გაკეთდეს პროექტი, რომლის ფარგლებში თბილისის სხვადასხვა რაიონის სახელოვნებო სკოლების მოსწავლეები სხვა რაიონის ტერიტორიაზე გამართავენ კონცერტებს.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა მერიის წარმომადგენელს და შესთავაზა გააძლიერონ საკრებულოსა და მერიის მიერ განსახორციელებელ კამპანიებზე თანამშრომლობა, რაც ბატონმა ირაკლი გვილავამ გაიზიარა.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ირაკლი გვილავამ, თამარ ტალიაშვილმა, ირაკლი ზარქუამ, მარიკა დარჩიამ, გულია გოცირიძემ, გიორგი ჩაკვეტაძემ, ნინო ლაცაბიძემ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2018 წლის პირველ და მორე კვარტალში გაწეული სამუშაოების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის დადებითად შეფასებისა და მისი ცნობად მიღების შესახებ.

მომხრე _____	6
წინააღმდეგი _____	0
თავი შეიკავა _____	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა, დადებითად შეფასდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2018 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული სამუშაოების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში და იგი ცნობად იქნეს მიღებული.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი